



ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Business



WORLD BANK GROUP

საუკეთესო წლიური ანგარიშის და გამჭვირვალობის ჯილდო

ანაიპ ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის რეფორმების მხარდაჭერის ეროვნული ფონდი, ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივი პროექტის მხარდაჭერით ფინანსური ინკლუზიურობისა და ანგარიშგაღებულების შესახებ, 2019 წლის შემოდგომაზე კონკურსს აცხადებს საქართველოს საფონდო ბირჟაზე წარმოდგენილი კომპანიებისათვის



ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ეროვნული რეფორმების მხარდაჭერის ფონდი ევროკავშირის და მსოფლიო ბანკის ერთობლივი პროექტის მხარდაჭერით ფინანსური ინკლუზიურობისა და ანგარიშგაღებულების შესახებ 2019 წლის შემოდგომაზე კონკურსს აცხადებს, საფონდო ბირჟის ლისტიგში წარმოდგენილი კომპანიებისთვის.

საქართველო მსოფლიო ბანკის გლობალური Doing Business-ის რეიტინგში მე-9 პოზიციით გამოიჩინევა. თუმცა, საქართველოს კაპიტალის ბაზრები, მათ შორის საქართველოს საფონდო ბირჟა განუვითარებელია და სჭირდება მექანიზმები და წახალისებები, რათა მოხდეს ზრდის სტიმულირება.

საუკეთესო წლიური ანგარიშის და გამჭვირვალობის ჯილდო ეროვნული რეფორმების მხარდაჭერის ფონდმა დააწესა, ევროკავშირის, მსოფლიო ბანკის, საქართველოს საფონდო ბირჟის (GSE), საქართველოს ეროვნული ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის და სხვების მხარდაჭერით.

მიზანი კი GSE-ში რეგისტრირებულ კომპანიებში უკეთესი რეპორტირების პრაქტიკების ხელშეწყობა და მათგან უმაღლესი ხარისხის რეპორტირების მქონე კომპანიის დაჯილდოებაა.

მაღალი ხარისხის ანგარიშგების პრაქტიკა, რომელიც შეესაბამება რეგულირებას და განვითარებად გლობალურ საუკეთესო პრაქტიკას, მიზნად ისახავს ქართველი ინვესტორების უკეთ ინფორმირებასა

და დაცვას და ლისტიგში წარდგენილ კომპანიებში ინვესტიციების წახალისებას.

გამარჯვებული კომპანია 3-ეტაპიანი შეფასების საფუძველზე გამოვლინდება, რომელიც მოიცავს თავდაპირველ სკრინინგს, შერჩეული კომპანიების დეტალურ შეფასებას და საბოლოოდ, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტებისგან დაკომპლექტებული ჟიური გადაწყვეტს, ვინ იქნება გამარჯვებული.

RSF ფიქრობს, რომ GSE-ში დარეგისტრირებული 30 კომპანიიდან (ესენია: სს „ქართული ლუდის კომპანია“, სს „სილქნეტი“, შპს „თეგეტა მოტორსი“, სს „თიბისი ბანკი“, სს „საქართველოს ბანკი“, სს „მისო კრისტალი“, სს „ნიკორა ტრეიდი“, შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანია“, სს „ლისი ლეიქ დეველოპმენტი“, შპს „მ2 კომერციული ქონებები“, სს „ლიბერთი ბანკი“, სს „თელასი“, სს „აქატი“, სს „ბამბის ნართი“, სს „ბორჯომმინწყლები“, სს „სარაჯიშვილი“, სს „ისანი-ქართუ“, სს „ქართული შალი“, ქუთაისის საკონდიტრო ფაბრიკა „ნუგბარი“, სს „ხიმიწვი-75“, სს „ხაშურის მინის ტარაა“, სს „საქცივპროდუქტი“, სს „ნინო“, სს „სავანე – ლენის №1 ქარხანა“ სს „მწვანე კაპიტალი“, სს „ტრანსმშენი“, სს „თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა“, სს „თბილისის უნივერსალური სავაჭრო ბაზა“, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“, სს „უნივერსალი“) 20 დაკმაყოფილებს მოთხოვნილ კრიტერიუმებს.

წარმოდგენილია სამი კატეგორია – ფინანსური ინსტიტუტები (ბანკები და სხვა საკრედიტო

ინსტიტუტები), არაფინანსური ორგანიზაციები, რომელთაც 500-ზე ნაკლები თანამშრომელი ჰყავთ და არაფინანსური ორგანიზაციები, რომელთაც 500-ზე მეტი თანამშრომელი ჰყავთ.

დაჯილდოების სქემა სექტემბერში გამოქვეყნდა. კომპანიებმა ანგარიშები 1 ოქტომბრისთვის უნდა წარადგინონ, Reportal.ge-ზე 31 ოქტომბრისთვის აიტვირთოს, რის შემდგომაც დაიწყება სამეტაპიანი შეფასების პროცედურები. კომპანიები ჯამში 100 ქულით შეფასდებიან, საიდანაც ფინანსური ინსტიტუტებისთვის ქულები შემდეგნაირად გადანაწილდება: მენეჯმენტი – 40%; კორპორატიული მართვა – 20%; არაფინანსური ინფორმაცია – 20%; სხვა – 20%. რაც შეეხებათ არასაფინანსო კომპანიებს, მსხვილი კომპანიებისთვის (500 და მეტი დასაქმებულით) შეფასების სისტემა შემდეგია: მენეჯმენტი – 40%; კორპორატიული მართვა – 20%; არაფინანსური ინფორმაცია – 20%; სხვა – 20%. მცირე ზომის არასაფინანსო კომპანიებისთვის (500 დასაქმებულზე ნაკლები) შეფასება შემდეგია: მენეჯმენტი – 50%; კორპორატიული მართვა – 20%; არაფინანსური ინფორმაცია – 10%; სხვა – 20%.

გამარჯვებულები სწორედ აღნიშნულ სამ კატეგორიაში გამოვლინდებიან. კონკურსი დეკემბერში დასრულდება.

ჟიური 15 ექსპერტისგან შედგება, მათ შორის არიან RSF-ის წარმომადგენლები პოლ ტომპსონი, გიორგი თაბუაშვილი, გიორგი რუსიაშვილი, ტარიელ გვალია, მსოფლიო ბანკისა და IFC-ის უფროსი მმართველი კონსულტანტი ირინა გორდელაძე, პარლამენტარი კახა კუჭავა, ნინო ქურდიანი, რომელიც მთავარი ფინანსური ოფიცერია GSE-ში, ერიკ ვერმულენი, თილბერგის უნივერსიტეტის პროფესორი, სებ-ის კაპიტალის ბაზრების ზედამხედველი სოფია ყოლბაია, სებ-ის საინვესტიციო და საპენსიო ფონდების ზედამხედველი გიორგი ნაკაშიძე, ბრენკო ლუტიკი – SFAI Montenegro-ს პასუხისმგებელი პარტნიორი, ფილიპ ჟანგენი – უფროსი საოპერაციო ოფიცერი Yes.com AG შვეიცარიაში და აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე გერმანულ Pensionskasse vom Deutschen Roten Kreuz VVAG-ში. ასევე ეკატერინე პოპიაშვილი – CRESCO-ს CEO, ნიკოლოზ ღუმბაძე, Alternative Business Solutions-ის მმართველი პარტნიორი და ელიზაბეტ-ნუცა დავითაშვილი, EBRD-ის ძირითადი ბანკირი საქართველოში.

რედაქციისაგან:

„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების წინა, მე-8(236) ნომერში, ტექნიკური მიზეზების გამო, პოლინა ბენდელიანის სტატია „საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ბუღალტრების მზადყოფნა ფინანსური რეგულაციების მიმდინარე ცვლილებებისათვის“ გავიდა გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალის გარეშე. გამოვთქვამთ წუხილს ამის გამო და ვაქვეყნებთ აღნიშნულ სტატიაში გამოყენებული ლიტერატურის სიას.

„საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ბუღალტრების მზადყოფნა ფინანსური რეგულაციების მიმდინარე ცვლილებებისათვის“ – ავტორი პოლინა ბენდელიანი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. International Accounting Standards Board. (2015). *International Financial Reporting Standards (IFRS) for Small and Medium-sized Entities (SMEs)*, International Accounting Standards Board (IASB). London: IASB.
2. Law. (2016). *Law of Georgia on Accounting, Reporting and Auditing*. edited by Parliament of Georgia.
3. Pirveli Erekle and Shughliashvili Teona. (2019). *Accounting and Audit Reform in Georgia: Theoretical and Descriptive Analysis. Economics and Business (TSU)*, 10 (2), 163-184.
4. Pirveli Erekle. (2015). *Financial Statement Quality: First Evidence from the Georgian Stock Exchange*, Dissertation, University of Bremen, Shaker Verlag.
5. Pirveli Erekle. (2019). საქართველოში მიმდინარე ბუღალტერიისა და აუდიტის რეფორმა: პირველი შეფასება. *Forbes Georgia*, 85 (2), 82-85.
6. Pirveli Erekle. (2014). *Accounting Quality in Georgia: Theoretical Overview and Development of Predictions*, International Journal of Business and Social Science, 5 (3), 283-293.
7. SARAS. (2018). *Accountants Survey*, SARAS.
8. World Bank, *Improving SMEs' access to finance and finding innovative solutions to unlock sources of capital*, World Bank's Web Site.



ა(ა)იპ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის რეფორმების მხარდაჭერის ეროვნული ფონდის მიერ CIMA-სთან ერთად ჩატარებული სტუდენტური ოლიმპიადის „ფინანსურ ანგარიშგებაში, დაბეგვრაში და მმართველობით აღრიცხვაში 2019“ გამარჯვებულთა გამოვლენა და დაჯილდოება გაიმართა 2019 წლის 07 ოქტომბერს, საქართველოს უნივერსიტეტის მთავარი კორპუსის სააქტო დარბაზში.

კონკურსში გაიმარჯვა მიხეილ იაკობიძემ, BTU,

მაგისტრატურა და მას გადაეცა მთავარი ფულადი ჯილდო 1,000 ლარის ოდენობით.

კონკურსის შედეგად აუდიტურ კომპანიებში სტაჟირებისთვის შერჩეულ კანდიდატთა სია და მათი გადანაწილება ღონისძიების სპონსორ საწარმოებზე შემდეგნაირად გამოიყურება:

1. კასრადე ლიმიტრი, ISET, ბაკალავრიატი (საპრიზო ადგილი) – PKF;
2. ტეტუნაშვილი ლალი, IBSU, ბაკალავრიატი (საპრიზო ადგილი) – PwC;
3. კუსრაშვილი თამარ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, მაგისტრატურა (საპრიზო ადგილი) – RSM;
4. იორდანიშვილი ნუგზარ, UG, ბაკალავრიატი – Grant Thornton;
5. ქრისტესიაშვილი გიორგი, თსუ, მაგისტრატურა – აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“;
6. ბუცხრიკიძე ნინო, თსუ, ბაკალავრიატი – Russell Bedford;
7. ხიდაშელი თათია, ISET, მაგისტრატურა – AG International Consulting;
8. ნიკოლაშვილი ილია, UG, ბაკალავრიატი – AG International Consulting;
9. ნოზაძე გიგა, ISET, ბაკალავრიატი – LLC Geosteel;
10. ყიფიანი მარიამ, UG, ბაკალავრიატი – LLC Geosteel;
11. ცირაძე თათია, ISET, მაგისტრატურა – JPA International.

ოლიმპიადში შემდეგი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები მონაწილეობდნენ: საქართველოს უნივერსიტეტი, თსუ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, IBSU, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, GIPA, ISET და სხვა.

სპეციალურად ოლიმპიადზე დასაკვირვებლად, CIMA ევრაზიის დირექტორი ბატონი ვადიმ ბოჟენიკი იყო ჩამოსული. ფონდს განზრახული აქვს, რომ აღნიშნული კონკურსი ყოველწლიური გახადოს და უფრო მეტ ახალგაზრდას მისცეს საშუალება უმაღლეს სასწავლებლებში მიღებული ცოდნის საფუძველზე საკუთარი ადგილი ქართული ბიზნესის მოწინავე კომპანიებში ღირსეულად დაიმკვიდრონ, რაც მოტივატორი უნდა გახდეს სხვა უმაღლესი სასწავლებლებისათვისაც, რომ ფინანსური ანგარიშგების, დაბეგვრისა და მმართველობითი აღრიცხვის სწავლების თანამედროვე მეთოდებზე გადავიდნენ.

შპს „ააფ-მენეჯმენტმა“ გამოსცა უნიკალური წიგნი-სახელმძღვანელო (604 გვ.)

„ააფის“ კითხვა-პასუხი – 5 წელი (2013-2017)“

წიგნის შექმნა შევიძლიათ ჩვენი რედაქციისაგან. მისი საფასურია 20 ლარი.

შექმნის მსურველები დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონებზე:

593 32-27-05 (ელზა ოთიაშვილი) ან 599 11-10-01 (მამუკა ელგენდარაშვილი).